



MES 3 22 0000420486



26/04/2022

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 8 აპრილს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/87850756548?pwd=cjdiMjNLbE9KSzVqNFpDRjQvVWhjUT09>

Meeting ID: 87850756548

Passcode: 865172

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო)
) წევრები:**

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი;

დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი

ქრისტინა რზგოვეა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;

ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი.

რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე /საბჭოს წევრი;

მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

დირექტორი - ლალი ხვედელიძე;

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - მზევინარ ძირკვაძე;

შპს ავიცენა

კოლეჯის დირექტორი - თამარ გელიაშვილი;

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - რუსუდან თედორაძე;

ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯი

კოლეჯის დირექტორი - რევაზ შარაბიძე;

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ირინე კვაჭაძე;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი - მედეა ჯღარკავა;

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი - ნინო ღაღანიძე;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნინო გაგნიძე;

კანცლერის მოვალეობის შემსრულებელი - ამირან ანანიაშვილი;

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ტატიანა მარგალიტაძე;

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი - მიხეილ ხუნდაძე;

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი - ზურაბ ხონელიძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - რომეო გალდავა;

შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემია

დირექტორის მრჩეველი დაწესებულების ავტორიზაციის და მონიტორინგის საკითხებში - ნატო ზარნაძე;

შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

დირექტორი - მარინა შაყულაშვილი;

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“

დირექტორი - ნონა ღუდუშაური;

ხარისხის მართვის მენეჯერი - ნანა ნამგალაძე;

სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“

კოლეჯის დირექტორი - გიორგი გოგიტიძე;

დირექტორის მოადგილე - მაია თოიძე;

ხარისხის მართვის მენეჯერი - კირთაძე ბიძინა;

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

რექტორის მოადგილე - მანუჩარ ლორია;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნინო ყურშუბაძე;

პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი - გოჩა გოგიტიძე;

ფოთის ფილიალის - ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან ცინცაძე;

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით მახვილაძე;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი - თამარ აფციაური;

უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე - ეკატერინე ნარეშელაშვილი;

სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი - ანზორ აბშილავა;

სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - შალვა კელეპტრიშვილი;

პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ხელმძღვანელი - ლევანი ბრეგაძე;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი - ლიანა ილურიძე;

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი - ქვარცხავა გიორგი;

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის - ლომიძე ნინო;

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის დირექტორი - მერაბ კაჭახიძე;

დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის პროგრამების კურატორი - რომან ბელთაძე;

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროგრამის ხელმძღვანელი - იაკობ მანჯგალაძე;

ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ხელმძღვანელი - იური კოხრიძე;

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი - ლელა ბართია;

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი - მანანა ჭანტურია;

პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი - მანანა სამუშია;

პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი - ქეთევან ლომაია;

სსიპ - კოლეჯი „თეთნულდი“

კოლეჯის დირექტორი - ირმა ჯაფარიძე;

ხარისხის მართვის მენეჯერი - თეონა ჯაფარიძე;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:

შორენა ხუბუნაია

მაგდა ბარამაძე

მაგული მეზონია

ავთანდილ გეგენავა

თეა ლილუაშვილი

თათია გივიშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი

საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, საბჭოს სხდომა გახსნა თავმჯდომარის მოადგილემ. ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩაწერა განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №243025 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №243023 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №174 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

2019 წლის 10 აპრილის N100 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

15. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის ქ. სენაკში "საექთნო განათლების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №243031 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

16. სსიპ კოლეჯი „თეთნულდისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №243680 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარე 14:20 საათზე შემოუერთდა საბჭოს.

1. შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა შორენა ხუბუნაიას და წარმატებები უსურვა.

საბჭოს წევრმა ქრისტინა რზგოევამ ინტერესთა კონფლიქტის გამო არ მიიღო მონაწილეობა საკითხის განხილვაში.

შორენა ხუბუნაიამ საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განმარტებით, 2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი ლიცეუმში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა ლიცეუმის ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს, პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, დათვალიერდა ლიცეუმის ინფრასტრუქტურა (ორივე კორპუსი) და სასწავლო გარემო, განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ადგილებზე (პრაქტიკის ობიექტი და გემი „ელიტა“) სრულად შესწავლილ

იქნა ლიცეუმის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები.

შორენა ხუბუნაიას განცხადებით, ვიზიტის პერიოდში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტის მიერ შეფასდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში არსებულ პროცესებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომების საკითხები, მათ შორის გადამოწმდა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები, რომლებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებიც პარალელურად ისწავლიან სკოლაში, შეფასდა დატვირთვის ოდენობები, სასწავლო გარემოსა და პროცესების მარეგულირებელი აქტების შესაბამისობა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკასთან. შეფასდა სასწავლო გარემო და რესურსები, მათ შორის ადამიანური რესურსები. მისი განმარტებით, შეფასებების შედეგად, შეუსაბამობები ან ხელისშემშლელი გარემოებები არ გამოვლენილა. ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისათვის საჭირო სასწავლო გარემო და ადამიანური რესურსები არ გამოიყენება პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ხელი არ შეეშლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში ლიცეუმმა წარმოადგინა ავტორიზაციის ცალკეული სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ლიცეუმმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში, რის მიხედვითაც ლიცეუმი იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს.

ამის შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ლიცეუმის ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის, ასევე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა ხელმისაწვდომობისა და ხელშეწყობის მიზნით, საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეულია:

1. პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის/სასწავლო პროცესის მართვის ციფრული პლატფორმა „INI.GE“, „SCHOOLBOOK“. პლატფორმა განკუთვნილია როგორც სკოლის მოსწავლეებისათვის, რომლებიც ამავდროულად სწავლობენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ისე პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტები ინდივიდუალურ პროფილზე გადიან ავტორიზაციას და ეძლევათ შესაძლებლობა, ისარგებლონ სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მხარდაჭერით, კერძოდ, პლატფორმის პროფილია: „პირადი მონაცემები“, „შეტყობინებები“, „განცხადებები“, „ელ-სწავლება“, „ელ-კანცელარია“, „საგანმანათლებლო პროგრამა“, „სასწავლო ბარათი“, „აკადემიური რეგისტრაცია“, „ცხრილი“, „ფინანსები“, „ბიბლიოთეკა“ და სხვა. აღსანიშნავია, რომ პლატფორმა გარდა ინფორმაციის მიწოდებისა, იძლევა კომუნიკაციის შესაძლებლობას. ექსპერტის განმარტებით, პროფესიულ სტუდენტს შეუძლიათ საკუთარი გვერდიდან გააგზავნონ შეტყობინება ან განცხადება ადმინისტრაციის შესაბამის წარმომადგენელთან. აღნიშნული პლატფორმის საშუალებით პროფესიულ სტუდენტებს „ბიბლიოთეკის“ გვერდზე ატვირთული აქვთ ელექტრონული სახელმძღვანელოები, „სასწავლო ბარათის“ ველში აისახება შეფასების შედეგები და სხვა. 2. ლიცეუმის სარგებლობაში არსებული შენობის ერთ-ერთ სართულზე მოწყობილია საერთო საცხოვრებელი - 4 სასტუმრო ოთახი 12 პერსონისათვის, რომელიც აღჭურვილია პირველადი საყოფაცხოვრებო ტექნიკითა და ცხოვრებისათვის აუცილებელი ინვენტარით. აღსანიშნავია, რომ ლიცეუმში ამ სერვისით სარგებლობა პროფესიული სტუდენტებისათვის უფასოა სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში;

3. პროფესიული სტუდენტების მიერ ინგლისური ენის, მათ შორის პროფესიული ინგლისურის ფლობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, ლიცეუმი იყენებს ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებს. ლიცეუმის მიერ მოწყობილია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლინგოფონის კაბინეტი ინდივიდუალური მოსასმენი მოწყობილობით 24 პირზე და ციფრული ტექნიკის მართვის პანელით. ლიცეუმი გარდა ინგლისური ენის მოდულით გათვალისწინებული საათებისა, პროფესიულ სტუდენტებს დამატებით, უსასყიდლოდ სთავაზობს ინგლისური ენის სწავლების მეცადინეობებს, რითაც ხელს უწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

ექსპერტთა მიერ ხარვეზები დასკვნაში დაფიქსირებული არ არის. ავტორიზაციის პირველ, მე-2 (სამივე პროგრამისთვის), მე-3 და მე-4 სტანდარტებთან მიმართებით დაფიქსირდა შესაბამისობა (თუმცა 4.2. კომპონენტი შეფასდა მეტწილად, რაც დასაშვებია, რომ მე-4 სტანდარტი შეფასდეს როგორც შესაბამისი), ხოლო მე-5 სტანდარტთან მიმართებით მეტწილი შესაბამისობა.

ექსპერტებმა წარმოადგინეს სტანდარტებთან შესაბამისობის შემდეგი რეკომენდაციები:

ექსპერტის განცხადებით, მე-4 სტანდარტის 4.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისი, კერძოდ:

ინდიკატორი 4.2.1.1 - მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა, რისთვისაც წარმოდგენილია ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 24 თებერვლის N01-03/2 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. მოცემული კომპონენტის სრულად შესრულებისთვის განსაზღვრული N1 აქტივობის დასრულების ვადა არ აღემატება 6 თვეს. აღნიშნული აქტივობის შესრულება გეგმაში მოცემულ ვადაში შესრულებადია, რადგან ლიცეუმს აქვს შესაბამისი რეგულაცია და სამუშაო ფორმები, ჰყავს კვალიფიციური ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს ლიცეუმის მიერ წარმოდგენილ გეგმას. 2. ლიცეუმის მიერ განხორციელებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, ლიცეუმში იქმნება სამუშაო გეგმა, რომელსაც იხილავს ლიცეუმის პედაგოგიური საბჭო. ლიცეუმის პერსონალის განვითარების კომპონენტი ასევე გათვალისწინებულია ლიცეუმის 2022 წლის სამოქმედო გეგმაში, რომლის უზრუნველსაყოფად ლიცეუმის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ჩართულობით იქმნება პერსონალის განვითარებისა და მხარდაჭერის აქტივობათა განრიგი.

მიუხედავად იმისა, რომ ლიცეუმი ზრუნავს პერსონალის განვითარებასა და მხარდაჭერაზე, რეკომენდებულია ღონისძიებების გეგმის აქტივობები ასევე იდენტიფიცირდეს ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებათა მიხედვით. აღნიშნული მექანიზმების სრულად იმპლემენტაციის მიზნით, ლიცეუმის მიერ წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 24 თებერვლის N01-03/2 ბრძანებით. გეგმის პირველი აქტივობა გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების სრულად იმპლემენტაციას, რომელიც მოიცავს ქვეაქტივობას პერსონალის საქმიანობის შეფასების ნაწილში. აქტივობის შესრულების დროდ განსაზღვრული 5 თვე და დასრულდება 2022 წლის 28 ივლისს.

ინდიკატორი 4.2.1.2 - მეტწილადაა შეფასებული, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს პერსონალის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისას გაითვალისწინოს პერსონალის საჭიროებები, რის გამოსავლენადაც გეგმავს პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და საჭიროებათა კვლევას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილია ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 24 თებერვლის N01-03/2 დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. მოცემული კომპონენტის სრულად შესრულებისთვის განსაზღვრული N1 აქტივობის დასრულების ვადა არ აღემატება 6 თვეს.

მოცემული აქტივობის შესრულება გეგმაში მოცემულ ვადაში შესრულებადია, რადგან ლიცეუმს აქვს შესაბამისი რეგულაცია და სამუშაო ფორმები, ჰყავს კვალიფიციური ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს ლიცეუმის მიერ წარმოდგენილ გეგმას.

ექსპერტის განცხადებით, მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, კერძოდ:

ინდიკატორი 5.1.1.1; 5.1.1.2; 5.1.1.9 - მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების საქმიანობა მეტწილადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით მეტწილადაა ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 24 თებერვლის 01-03/2 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან ლიცეუმის შესაბამისობის გეგმა. ლიცეუმის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, სარემონტო სამუშაოების დასრულება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონტაჟი გათვალისწინებულია მოცემული გეგმის N2 აქტივობად, რომლის დასრულების დროდ განსაზღვრულია 2022 წლის 28 ივლისი, რაც არ აღემატება 6 თვეს. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ძირითადად მოპირკეთების სამუშაოები, რის საფუძველზეც მოცემული გეგმა რეალისტურადაა შეფასებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ინდიკატორი 5.1.2.1 - მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის თაობაზე, თუმცა არასრულად ფუნქციონირებს სახანძრო უსაფრთხოების სისტემა.

ინდიკატორი 5.2.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების ელექტრონული საქმისწარმოებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების სანდობას, ლიცეუმს დაგეგმილი აქვს არაუგვიანეს 2022 წლის 28 ივლისისა, რისთვისაც ლიცეუმის მიერ წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ლიცეუმის დირექტორის 24 თებერვლის N01-03/2 ბრძანებით. გეგმის მესამე აქტივობა გულისხმობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვას, განსაზღვრულია შემდეგი ქვეაქტივობები: საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის შერჩევა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის შესყიდვა, საქმისწარმოების წესში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, ელექტრონული საქმისწარმოებში პერსონალის გადამზადება, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა. აქტივობის შესრულების დროდ განსაზღვრულია 5 თვე და დასრულდება 2022 წლის 28 ივლისს.

ინდიკატორი 5.2.3.1 და 5.2.3.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, ლიცეუმს დაწყებული აქვს მუშაობა ვებგვერდის სრულყოფის მიზნით, ხოლო მოცემული აქტივობა გაწერილია ლიცეუმის მიერ წარმოდგენილი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 24 თებერვლის N01-03/2 ბრძანებით. გეგმის მეოთხე აქტივობა გულისხმობს ლიცეუმის ვებგვერდის სრულყოფას, მათ შორის ინგლისურენოვანი ვებგვერდის შექმნას, ვებგვერდზე საკომუნიკაციო ფუნქციის დამატებას. აქტივობის შესრულების დროდ განსაზღვრულია 5 თვე და დასრულდება 2022 წლის 28 ივლისს.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები - ელექტროობა; გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური; საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური.

ინდიკატორი 2.2.1.2 - დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია ლიცეუმმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ინდიკატორი 2.4.2.2 - დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, თუმცა რეკომენდებულია ლიცეუმმა შეიმუშაოს ვერიფიკაციის შედეგების კომპლექსური ანგარიში, სადაც გაითვალისწინებს შეფასების სისტემის ეფექტიანობის შეფასებას, ვერიფიკაციის ფარგლებში შესწავლილი შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებებისა და სხვა ინფორმაციის რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს, გასცემს პროცესების გაუმჯობესების რეკომენდაციებსა და მათი შესრულების მიდგომებს.

ინდიკატორი 4.1.1.1 - დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, თუმცა რეკომენდებულია პერსონალისა და დამსაქმებლის ხელმოწერით დასტურდებოდეს პერსონალის სამუშაოს აღწერილობების გაცნობის ფაქტი.

ინდიკატორი 4.1.1.3 - დაკმაყოფილებულია, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის რიგ დოკუმენტებში ვხვდებით უმაღლესი განათლების ფარგლებში არსებული პროცესების განმსაზღვრელ ისეთ ცნებებს, როგორიცაა სამეცნიერო კვლევების ეფექტიანობის შეფასება, აკადემიური პერსონალი, აკრედიტაციის პროცესი და სხვა. რეკომენდებულია ლიცეუმმა ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვაში გამოიყენოს პროფესიული განათლების სპეციფიკის აღმწერი ტერმინები.

ინდიკატორი 4.1.2.1 - დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად, თუმცა, პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შრომის ან სხვა სახის ანაზღაურების დაგვიანების შემთხვევაში, დამსაქმებლის პასუხისმგებლობის ზომად განსაზღვრულია 0.05%, რაც არ შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის, შრომის კოდექსის მოთხოვნებს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია მოცემული დებულება მოვიდეს შესაბამისობაში ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.1.2.2 - დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. თუმცა,

რეკომენდებულია ლიცეუმმა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში დამატებით განათავსოს მათი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ინდიკატორი 4.2.1.3 - დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, რეკომენდებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საქმიანობის კვლევის შედეგებს.

ინდიკატორი 4.2.1.5 - დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.

ინდიკატორი 5.1.1.3 - დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, თუმცა, ლიცეუმის შიდა მარეგულირებელ აქტში „ტექნიკური რეგლამენტი - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში“ მოცემულია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილება, რომელიც საანგარიშო პერიოდში ძალადაკარგულია, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს შიდა მარეგულირებელი აქტების პერიოდული რევიზია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

მაგდა ბარამაძის განმარტებით, მისი დამოკიდებულება დაწესებულების მიმართ იყო პოზიტიური და აღნიშნა, რომ დაწესებულება გამოთქვამდა მზაობას რეკომენდაციებსა და რჩევებთან დაკავშირებით. აქვე, მან გააკეთა დასკვნა, რომ შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მიერ პროფესიული პროგრამების განხორციელება, ხელს არ შეუშლის ლიცეუმის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფუნქციონირებას.

დარგის ექსპერტის, მაგული მეზონიას განცხადებით, ლიცეუმს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ელექტრობა“ განხორციელებისათვის აქვს როგორც მატერიალური, ისე ფინანსური რესურსი, ჰყავს კვალიფიციური პერსონალი და თანამშრომლობს ბაზარზე წამყვან ისეთ კომპანიასთან, როგორიცაა შპს „საზღვაო ტექსერვისი“. ლიცეუმის მისია იძლევა შესაძლებლობას, დაწესებულებამ განახორციელოს მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს ლიცეუმის მიერ ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

დარგის ექსპერტის, ავთანდილ გეგენავას განცხადებით, მთავარ მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების სრულფასოვანი შემოწმება საზღვაო მიმართულებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მოხდა პრაქტიკის კომპონენტის, გემის შემოწმებაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების დირექტორს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

ლალი ხვედელიძე მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ საფუძვლიანად მოხდა დაწესებულების შემოწმება, დაწესებულება იზიარებდა ყველა რეკომენდაციასა და რჩევას, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან იქნა გაცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამების პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის ავტორიზაციის შესახებ.

საბჭოს წევრმა ქრისტინა რზგოევამ ინტერესთა კონფლიქტის გამო არ მიიღო მონაწილეობა საკითხის კენჭისყრაში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმს (ს/კ:226155763) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება, შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმს მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 1; დანართი 2; დანართი 3**).

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, 5.1 და 5.2 კომპონენტის შემოწმების მიზნით, მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განისაზღვროს 2022 წლის 28 ივლისი. მონიტორინგის ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში იმ დროისთვის არსებული კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე.

პირველი საკითხის დასრულების შემდეგ, შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი

დალაქიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისა“ და სსიპ კოლეჯ „ბლექის“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ორივე დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდა 2021 წელს და სტანდარტების ინდიკატორებთან შესაბამისობის სრულ დაკმაყოფილებამდე აკლდათ გარკვეული კომპონენტები. კერძოდ, ა(ა)-იპ კოლეჯ „განთიადის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ ინტეგრირებული მოდულებისთვის მატერიალური რესურსის ნაწილი ჰქონდა შესაძენი, ამ ფაქტთან დაკავშირებით გვაცნობეს, რომ შეძენილია აღნიშნული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რის დასტურადაც კოლეჯმა წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტები, ასევე, მტკიცებულება, რომ ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის გამოყოფილ აუდიტორიაში დამონტაჟებულია გამწოვი კარადა. დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა დარგის ექსპერტის განმავითარებელი რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ხის მხატვრული დამუშავება“, რომლის მიხედვითაც განალაგა ჩარხები და მოაწყო ყვითელი ბილიკი სახელოსნოში. დადასტურების მიზნით წარმოდგენილია ფოტო-მასალა.

სსიპ კოლეჯმა „ბლექი“ გვაცნობა, რომ მის მიერ დაბა ქედის მისამართზე 5.1 კომპონენტის ყველა ინდიკატორი შესაბამისობაში არის მოყვანილი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისაგან მიწერილობა წარმოდგენილი იქნა 2022 წლის 04 მარტს (№MIA 3 22 00560841), ხოლო შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა კოლეჯში წარმოდგენილი იქნა 2022 წლის 30 მარტს (№MIA 9 22 00807384; 29.03.2022) და ის დამტკიცდა სსიპ კოლეჯის „ბლექი“ დირექტორის 2022 წლის 30 მარტის №01-02/52 ბრძანებით. სამსახურმა წარმოდგენილი ინფორმაციები შეისწავლა და დაადგინა, რომ ყველაფერი შესრულებულია და სამსახური სთხოვს საბჭოს, მიიღოს აღნიშნული ცნობად.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ცენტრის შუამდგომლობა.

კიდევ ერთი შუამდგომლობა ეხებოდა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-თვის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვის გადაწყვეტილებაში მონიტორინგის ვადაში ტექნიკურ შეცდომას, კერძოდ, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი ოქმში განსაზღვრულია 2022 წლის 15 ივნისიდან. ნანი დალაქიშვილმა მიმართა თხოვნით საბჭოს წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომხდარიყო ჩასწორება და ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-სთვის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით, მონიტორინგის თარიღად განსაზღვრულიყო 2022 წლის 15 აგვისტო.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ცენტრის შუამდგომლობა და შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი განისაზღვრა 2022 წლის 15 აგვისტოდან.

ასევე, შუამდგომლობა ეხებოდა, შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის შესახებ საკითხს. საკითხის განხილვისას საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტები 1.2; 2.2; 2.3; 2.4; 4.1 და 5.2. 5.1, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 2 მაისიდან. აღსანიშნავია, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ოქმში დაფიქსირებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ შპს ბათუმის უმაღლეს სასწავლებელ ანრიში 5.1 კომპონენტზეც არის დანიშნული მონიტორინგი, დასკვნის თანახმად 5.1 კომპონენტი „სრულ შესაბამისობაშია“, ამდენად მონიტორინგის საჭიროება 5.1. კომპონენტის ფარგლებში არ არსებობს. აღნიშნული ავტორიზაციის წარმოების დროს ორი პროგრამა იქნა შეფასებული გემის სამანქანო განყოფილების ექსპლუატაცია და საგემბანო განყოფილების ექსპლუატაცია და ორივე პროგრამაში დასკვნიდან გამომდინარე 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები არის "მეტწილ შესაბამისობაში". ოქმში არ არის დაკონკრეტებული, რომ აღნიშნული კომპონენტები ორივე პროგრამასთან მიმართებაში უნდა შემოწმდეს მონიტორინგის წარმოებისას. ნანი

დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს თხოვნით, გამომდინარე იქიდან, რომ ორივე პროგრამაში ფიგურირებდა 2.2; 2.3 და 2.4 კომპონენტები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, მონიტორინგის ფარგლებად განისაზღვროს ორივე პროგრამაზე 2.2., 2.3., 2.4. კომპონენტები, ასევე, ერთი პროგრამისთვის დამატებით 1.2., 4.1. და 5.2 კომპონენტი.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ცენტრის შუამდგომლობა და მიზანშეწონილად ჩათვალეს, მონიტორინგი ჩაინიშნოს. გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის და საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამებზე, მონიტორინგის ფარგლებად განისაზღვროს ორივე პროგრამაზე 2.2., 2.3., 2.4. კომპონენტები, ასევე, ერთი პროგრამისთვის დამატებით 1.2., 4.1. და 5.2 კომპონენტი.

საბჭოს სხდომა დატოვა მაგდა ბოლოთაშვილმა.

2. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტს სთხოვა, დაეწყო საკითხის განხილვა, სიტყვა გადასცა თეა ლილუაშვილს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 17 და 18 მარტს ქ. თბილისში, ხოშარაულის N30ა-ში მდებარე სასწავლო ფართზე. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო გარემო და გადაამოწმა საბიბლიოთეკო რესურსები. ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორებს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა **განვითარების რეკომენდაციები**, კერძოდ:

2.2.1 (3) - პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგები მოდულური პროგრამების სპეციფიკის და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემის შესახებ.

2.2.1 (6) - დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. დაწესებულების სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსსმ მქონე

პირებისთვის. დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული როგორ უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას - საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

განვითარების რეკომენდაცია: შემუშავდეს რეგულაცია, სადაც განისაზღვრება საჭიროების შემთხვევაში თუ ვის მიერ და როგორ მოხდება რესურსების ცვლილება, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ: ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ 100 სტუდენტის მიღებას, გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკის ობიექტებთან კლინიკური სწავლების მიზნებისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილია ერთ მიღებაზე 30 პროფესიული სტუდენტის სწავლება, ხოლო კარიტასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულია ერთდროულად მაქსიმუმ 20 პროფესიული სტუდენტის სწავლება პრაქტიკული მოდულის „შინმოვლა“ განხორციელების მიზნით. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით. განისაზღვრა 60 პროფესიული სტუდენტი (ერთ მიღებაზე 20 პროფესიული სტუდენტი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების დირექტორს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

თამარ გელიაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ საფუძვლიანად მოხდა დაწესებულების შემოწმება, დაწესებულება იზიარებდა ყველა რეკომენდაციასა და რჩევას, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა გაცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამების პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ:406250140) მიენიჭოს უფლება დამატებით განხორციელოს დანართით განსაზღვრული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 4).

საბჭოს სხდომა დატოვა რუსუდან გიგაშვილმა.

3. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის დირექტორმა, ბატონმა რევაზ შარაბიძემ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს (შემდგომში ცენტრი) 2022 წლის 7 მარტს მიმართა წერილით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთან შუამდგომლობისათვის. წერილში აღნიშნულია, რომ ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯში 2021 წელს სტუდენტთა მიღება არ განხორციელებულა, ამასთან არც სამომავლოდ არ იგეგმება, ვინაიდან დაწესებულებას უფლების მოპოვების გზით მინიჭებული აქვს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება და დაწესებულებას გადაწყვეტილი აქვს ამ მიმართულებით გააგრძელოს საქმიანობა, ამდენად, ითხოვენ ავტორიზაციის გაუქმებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების დირექტორს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

რევაზ შარაბიძე დაეთანხმა ნანი დალაქიშვილს და საბჭოს მიმართა ავტორიზაციის გაუქმების თხოვნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტისა და 48-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;

5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;

6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;

7. შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;

8. შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები ეხებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმებას. ნანი დალაქიშვილის თქმით, აღნიშნული დაწესებულებებიდან შუამდგომლობები იყო წარმოდგენილი საბჭოზე და განმარტა, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2018 წელს გაიარეს ავტორიზაცია და მათ ჰყავდათ მიღებული კონტინგენტი საგნობრივ პროგრამებზე, თუმცა ეს კონტინგენტი, როგორც საბჭოსთვის ცნობილი იყო, 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეიძლებოდა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტად ყოფილიყო ნებისმიერ დაწესებულებაში. ინფორმაციით დასტურდება, რომ ასეთი სტუდენტები უკვე აღარ არსებობენ ამ დაწესებულებებში, მათ არც მოდულური პროგრამები არ დაუმატებიათ ამ პერიოდის განმავლობაში. რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, ნანი დალაქიშვილის განმარტებით, ისინი აღარ გეგმავდნენ პროფესიული პროგრამების განხორციელებას.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წარმომადგენლის განცხადებით, უნივერსიტეტმა მიიღო დაფიქრებული გადაწყვეტილება, ამ ეტაპზე სურს გაიუქმოს პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება და მომავალში ხელახლა მოიპოვებდნენ ამ უფლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტისა და 61 - ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (ს/კ: 211328703) გაუუქმდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში - აკადემია) წარმომადგენლის განცხადებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 ოქტომბრის N80 გადაწყვეტილებით აკადემიისთვის მინიჭებული ორი საგნობრივი პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლებით აკადემიამ ისარგებლა 2018-2019 სასწავლო წელს და მიღევად რეჟიმში ორივე პროგრამის სტუდენტებს დაასრულებინა სწავლა. ამის შემდეგ არ განუხორციელებია სტუდენტების მიღება. ამჟამად აკადემია მუშაობს ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავებაზე, თუმცა მათი განხორციელების ვადები დამოკიდებულია აკადემიის სასწავლო კორპუსის ფართომასშტაბიანი რეაბილიტაციის პროექტის დასრულებაზე. აკადემიის პროფესიული საგნობრივი პროგრამების არსებობის სამართლებრივი ვადების ამოწურვის გამო წარმოადგინეს შუამდგომლობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საბჭოს წინაშე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილებაზე უარის თქმის შესახებ.

